თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 9

15. 07. 2019 წ.

ქ.თელავი

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ტიტე დარეჯანიშვილი, დავით ღაღანიძე, მაია მარკოზაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, არჩილი თვალიაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა: მოქალაქე მაკა მოსიაშვილი.

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა (ა) იპ ,,თელავის მუნიციპალიტეტის ღვინის პარკის'' მიმართ ლიკვიდაციის პროცესის განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

   მომხს. ნ. ხვისტანი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N9 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' ცვლილებების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხს. ნ. ხვისტანი

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ ,,თელავის მუნიციპალიტეტის ღვინის პარკის'' მიმართ ლიკვიდაციის პროცესის განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: **ნანა ხვისტანმა** აღნიშნა რომ აღნიშნული ორგანიზაცია უმოქმედოა და შესაბამისად მიზანშეწონილია მისი ლიკვიდაციის პროცესის დაწყება.

გადაწყვიტეს: **მიეცეს თანხმობა მერს** ა (ა) იპ ,,თელავის მუნიციპალიტეტის ღვინის პარკის'' მიმართ ლიკვიდაციის პროცესის განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ და პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N9 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' ცვლილებების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: **ნანა ხვისტანმა** აღნიშნა რომ აუცილებლია შემუშავდეს ერთი რეგულაცია საკრებულოს თანამდებობის პირებისთვის, მათ მიერ შვებულებითა და მივლინებით სარგებლობის წესის სრულყოფისთვის.

მან გააცნო ცვლილების პროექტი კომისიის წევრებს, კერძოდ აღნიშნა რომ ცვლილება განხორციელდება საკრებულოს რეგლამენტის მე-15 მუხლში.

ასევე რედაქციული სახის ცვლილებები განხორციელდება მე-16 მუხლის მე-2 პუნქტში და 29-ე მუხლის პირველ პუნქტში.

გადაწყვიტეს: პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე: **ნანა ხვისტანი**